საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი

07-08.08.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი;

სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი ელისაბედაშვილი - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. გულჩინა ჭიკაძე - შპს - საუნჯეს დირექტორი;
2. ჟუჟუნა მუმლაძე - შპს - ხიხანის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დირექტორი;
3. აკაკი დუმბაძე - შპს - ხიხანის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის დამფუძნებელი;
4. მაია დუდაური - შპს - აკადემია ლიბერთი პროფის დირექტორის მოადგილე;
5. ნინო ფიფია - შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
6. გენადი ცქვიტია - შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის დირექტორი;
7. ზვიად კვარაცხელია - შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
8. მურმან კვარაცხელია - შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის მიმართულების ხელმძღვანელი;

9. ალინა კუპრავა - შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
10. რაჯნიშ კუმარ ბაიდიანატი მიშრა - შპს - თისოჰმის დირექტორი;
11. ნათელა აკოლაშვილი - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის მოადგილე;
12. გოგიტა გიორგაძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსის“ დირექტორი;
13. მაია თოიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსის“ დირექტორის მოადგილე;
14. ნაზიბროლა ყაზანაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ იურისტი;
15. ნანა ფაჩუაშვილი - ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ საქმის მწარმოებელი;
16. სალომე ჭელიძე - შპს - ქართულ-ევროპული აკადემიის დირექტორი;
17. მურმან გუგეშაშვილი - შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
18. ანა ცუცქირიძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ - იბერიას დირექტორის მოადგილე;
19. ირმა მეგრელიძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღის“ პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი;
20. ნინო თხელიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა-11-ის დირექტორი;
21. ზურაბ ბერიძე - ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
22. დოდო გაჩეჩილაძე - შპს - ახალციხის სამედიცინო სასწავლებელ 2009-ის დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 20:19 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1 შპს - საუნჯეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ხიხანის მრავალპროფილიან საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს - აკადემია ლიბერთი პროფში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - პროფესიულ კოლეჯ ,,ინტელექტის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - თისოჰმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ოპიზარისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
8. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
10. შპს - ქართულ-ევროპული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
11. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
12. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ - იბერიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
13. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
14. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა-11-ისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
15. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
16. შპს - ახალციხის სამედიცინო სასწავლებელ 2009 - სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შპს - თისოჰმის დირექტორმა, რაჯნიშ კუმარ ბაიდიანატ მიშრამ განაცხადა, რომ ის ეთანხმებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მისი თქმით, დასკვნა უარყოფითი იყო და საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც დაწესებულება არსებული მდგომარეობით ავტორიზაციას ვერ მიღებდა, რადგანაც ავტორიზაციის სტანდარტები არ იყო დაკმაყოფილებული. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო კენჭს უყრიდა დაწესებულების ავტორიზაციის საკითხს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების მოსმენის შემდეგ. რაჯნიშ კუმარ ბაიდიანატ მიშრამ განაცხადა, რომ ყველა შენიშვნას იზიარებდა და არანაირი მოსაზრების გამოთქმა დამატებით არ სურდა. საბჭომ დაამტკიცა დღის წესრიგი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ლალი ღოღელიანს.

1. შპს - საუნჯეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ რომელმაც განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - საუნჯეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საუნჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საუნჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - ხიხანის მრავალპროფილიან საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის II თავის, IX მუხლით გათვალისწინებული დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების ჩამონათვალი.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში საგანი "ქართული ენა და ლიტერატურა" გაწერილია, როგორც "მშობლიური ენა", თუმცა საათობრივი ბადის მეორე ვარიანტში, რომელსაც თან ახლავს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები სწორადაა აღნიშნული საგნის დასახელება.

1.3 არ ემთხვევა საათობრივი ბადის ნაწილებში მოცემული საგანთა ჩამონათვალი ერთმანეთს. პირველ ვარიანტში XII კლასის საათობრივ ბადეში მოცემულია სამოქალქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ხოლო მეორე ვარიანტში, რომელსაც თან ერთვის განსაზღვრული შემაჯამებლების რაოდენობები, არ არის მოცემული სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება.

1.4 ეროვნული სასწავლო გეგმით არჩევით საგნად დადგენილი გლობალური პრობლემების გეოგრაფია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

1.5 ეროვნული სასწავლო გეგმით არჩევით საგნად დადგენილი ხელოვნების ისტორია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება.

1.6 სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნად დადგენილი საგანი - ჭადრაკი არ არის სასკოლო საათობრივ ბადეში შეტანილი.

1.7 სკოლაში მოქმედებს 3 კათედრა: 1) ჰუმანიტარული საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, გეოგრაფია); 2) ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია); 3) უცხოური ენების (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული). სკოლის კათედრებში შემავალი საგნების ჩამონათვალში არ არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საგნები: მუსიკა, სპორტი, ხელოვნება, სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება.

1.8 რუსული ენის X, XI და XII კლასების სასწავლო პროგრამები არ მოიცავს მეორე სემეტრის განმავლობაში სასწავლი მასალის შინაარსს.

1.9 სკოლას სასწავლო პროცესში სრულად არ აქვს შესრულებული ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის კომპონენტები. კერძოდ:

XII² კლასის ჟურნალი:

- სრულად არ არის შევსებული საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალის გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. არ არის მითითებული საგანთა გვერდები;
- ქართული ენისა და ლიტერატურის საგნისთვის გამოყოფილ გვერდებზე უმეტეს შემთხვევაში არ არის საგნის სრული დასახელება და მასწავლებლის ვინაობა შეტანილი, არ აქვს ჩამოჯამებული გადაშლილ გვერდებზე არსებული ნიშნების, ჯამური ქულებისა და გაცდენების რაოდენობების ჯამები;
- მათემატიკის მასწავლებელს ფიქრია ღურწკაიას არ აქვს ჩამოჯამებული გადაშლილ გვერდებზე არსებული ნიშნების, ჯამური ქულებისა და გაცდენების რაოდენობების ჯამები. ეროვნული სასწავლო გეგმით პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი;
- ისტორიის საგნისთვის განკუთვნილ გვერდებზე უმეტეს შემთხვევაში არ არის საგნის სრული დასახელება და მასწავლებლის ვინაობა შეტანილი, მასწავლებელს ი. ბერიშვილს არ აქვს ჩამოჯამებული გადაშლილ გვერდებზე არსებული ნიშნების, ჯამური ქულებისა და გაცდენების რაოდენობების ჯამები;
- რუსული ენის მასწვლებელს თ. ჭაბაშვილს პირველ სემესტრში განსაზღვრული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში განსაზღვრული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ინგლისურის მასწავლებელს ნ. ზაუტაშვილს პირველ სემესტრში განსაზღვრული 3 შემაჯამებელის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი.

XII³ კლასის ჟურნლაში:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ჟ. მუმლაძეს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაიას პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- ინგლისური ენის მასწავლებელს ნ. ზაუტაშვილს პირველ სემესტრში გათვალისიწენებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ქიმიის მასწავლებელს რ. მეჩიაურს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- საქართველოს და მსოფლიო ისტორიის მასწავლებელს ნ. ზაუტაშვილს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი.

XII³ კლასის ჟურნალებში:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. ნინიაშვილს განსაზღვრული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი;
- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაიას პირველი სემესტრის განმავლობაში განსაზღვრული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ისტორიის მასწავლებელს ე. ქუთათელაძეს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- ქიმიის მასწავლებელს მ. ფხოველიშვილს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- გეოგრაფიის მასწავლებელს პ. ოთინაშვილს პირველ სემესტრში განსაზღვრული 1 შემაჯამებლი არ აქვს ჩატარებული, ანალოგიური შემთხვევაა მეორე სემესტრშიც;
- ინგლისური ენის მასწავლებელს ც. ჩხაიძეს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად არ აქვს ჩატარებული არცერთი შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- რუსული ენის მასწავლებელ თ. ჭაბაშვილს პირველ სემესტრში განსაზღვრული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ჟურნალის მიხედვით ერთი სემესტრის მანძილზე ისწავლებოდა საგანი „ხელოვნება“, თუმცა აღნიშნული საგანი არ არის სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში შეტანილი;
- მოსწავლეები შეფასებულები არიან აბიტურის საგნებში: ფიზიკასა და ბიოლოგიაში.

<u>XIIᵃ კლასის ჟურნალი:</u>

- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაიას მეორე სემესტრში განსაზღვრული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი;
- რუსული ენის მასწავლებელს მეორე სემესტრში განსაზღვრული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი.

<u>XIIᵈ კლასის ჟურნალი:</u>

- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაიას მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი;
- ინგლისური ენის მასწავლებელს ნ. ზაუტაშვილს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- რუსულის მასწავლებელს თ. ჭაბაშვილს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი.

<u>XIᵃ კლასის ჟურნალი:</u>

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. ანთელავას პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაის პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 6 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი;
- ინგლისური ენის მასწავლებელს ლ. ჩხაიძეს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;

- რუსულ ენის მასწავლებელს თ. ჭაბაშვილს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ისტორიის მასწავლებელს ე. ქუთათელაძეს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- გეოგრაფიის მასწავლებელს დ. მშვიდობაძეს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ფიზიკის მასწავლებელს ნ. ღაჭავას პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ქიმიის მასწავლებელს რ. მეჩიაურს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი.

<u>XI^ბ კლასის ჟურნალი:</u>

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ლ. ანთელავას პირველ სემესტრში განსაზღვრული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაიას პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 6 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 4 შემაჯამებელი;
- ინგლისურის ენის მასწავლებელს ნ. ზაუტაშვილს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემეტსტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- რუსული ენის მასწავლებელს თ. ჭაბაშვილს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის მასწავლებელს ე. ქუთათელაძეს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი;
- გეოგრაფიის მასწავლებელს დ. მშვიდობაძეს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 2 შემაჯამებლიდან არცერთი არ აქვს ჩატარებული;
- ფიზიკის მასწავლებელს ნ. ღაჭავას პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებულია 2 შემაჯამებელი;
- ქიმიის მასწავლებელს რ. მეჩიაურს პირველ სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- საგანში საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება მოსწავლეები შეფასებულები არიან ნიშნებით.

<u>X კლასის ჟურნალი:</u>

- ქართულის მასწავლებელს ლ. ანთელავას პირველ სემესტრში განსაზღვრული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 5 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი;
- მათემატიკის მასწავლებელს ფ. ღურწკაიას 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 ხოლო მეორე სემესტრში გათვალისწინებული 6 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი.

- ინგლისური ენის მასწავლებელს ნ. ზაუტაშვილს პირველ სემესტრში გათვალისიწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 1 შემაჯამებელი, ხოლო მეორე სემესტრში 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- რუსულ ენის მასწავლებელს თ. ჭაბაშვილს მეორე სემესტრში გათვალსწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ისტორიის მასწავლებელს ე. ქუთათელაძეს მეორე სემეტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- გეოგრაფიის მასწავლებელს პ. ოთინაშვილს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ბიოლოგიის მასწავლებელს ც. დათაშვილს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ფიზიკის მასწავლებელს ნ. ღაჭავას მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ქიმიის მასწავლებელს რ. ბუჩუკურს მეორე სემესტრში გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი.

1.10 საკლასო ჟურნალებში სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეთავაზებულ უცხოურ ენებს - ინგლისური ენას, ფრანგული ენასა და გერმანულ ენას არ აქვს ჟურნალის გვერდები ცალ-ცალკე გამოყოფილი.

1.11 აღსანიშნავია ის, რომ სკოლის მოსწავლეების გარკვეული კონტინგენტი გადმოსულია 2012 წლის მარტის, აპრილისა და მაისი თვეებში. იმის გამო, რომ სკოლაში არსებულ ჟურნალებში არ იყო აღნიშნული მოსწავლეებისათვის საჭირო გრაფების რაოდენობა, სკოლის ადმინისტრაციას გახსნილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალები. იმის გამო, რომ მოსწავლეებს არ უსრულდებათ სრული სემესტრის განმავლობაში სწავლა სკოლაში, ვერ მოხერხდა აღნიშნულ ჟურნალებში გათვალისწინებული შემაჯამებლების დათვლა.

1.12 სკოლამ 2011-2012 სასწავლო წელს ოქროს მედალზე წარადგინა 5 მოსწავლე. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული მოსწავლეების, 2011-2012 სასწავლო წლის ჟურნალში დაფიქსირებული ქულები, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეებს აქვთ მაღალი მიმდინარე შეფასებები და შესაბამისად, არიან ოქროს მედალის პრეტენდენტები. მას შემდეგ, რაც მონიტორინგის ჯგუფმა აღნიშნული 5 მოსწავლის ქულები დაითვალა ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა შეფასების სისტემის მიხედვით არ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების გათვალისწინებით, მოსწავლეთა შეფასება მკვეთრად შემცირდა, თუმცა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების შემთხვევაში მოსწავლეები სავარაუდოდ მიიღებდნენ მაღალ ქულებს. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული მოსწავლეების მიმდინარე შეფასებები, რიგ შემთხვევებში არის ამოშლილი და გადასწორებული, რაც არ არის შეტანილი საკლასო ჟურნალების სპეციალურ გვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა, იკითხა რამდენად საჭირო იყო თითოეულ კლასში მასწავლებლების მიერ დაშვებული შეცდომების საბჭოს სხდომაზე განხილვა.

მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზებით მიმდინარეობდა შეფასების სისტემა, ამდენად, დეტალურად გადამოწმდა სასკოლო ჟურნალები.

მონიტორინგის სამსახურის უფროსის, გიორგი ელისაბედაშვილის, განცხადებით, ცენტრში შემოვიდა სკოლის განმარტებითი ბარათი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავად წარმოდგენილი განმარტებითი ხასიათის წერილისა, სახეზე ისეთი ტიპის დარღვევები, რომლებიც გამოსწორებას არ ექვემდებარება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის უფროსს, თუ რა შუამდგომლობას აყენებდა იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დღის წესრიგის მიხედვით საკითხი განიხილებოდა, როგორც მონიტორინგის შედეგების განხილვა.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, მონიტორინგის სამსახური საბჭოს არ მიმართავს შუამდგობლობით და საბჭომ, მასალების გაცნობის საფუძველზე, თავად განსაზღვროს მისაღები გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში მონიტორინგის სამსახურის შესვლა განაპირობა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის საჩივარმა. მისი განცხადებით, აღნიშნული მოსწავლი პირადი საქმე მას თან ჰქონდა, თუმცა ის იზიარებს დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს და პასუხისმგებლობას სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილეს აკისრებს.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სკოლის პერსონალს წარმოდგენა არა აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და შეფასების სისტემაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გასული წლისაგან განსხვავებით, წლევანდელი საატესტაციო გამოცდებისათვის სკოლა თავისი რესურსით უნდა მომზადებულიყო. შესაბამისად, მთელი რესურსი აღნიშნულ მიზანს მოხმარდა და 187 ბავშვიდან მხოლოდ 3-მა მოსწავლემ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ზემოაღნიშნულს კავშირი არა ჰქონდა განსახილველ საკითხთან.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მათი ყურადღება მიმართული იყო გამოცდებისკენ, რის გამოც თვალყური ვეღარ ადევნეს მასწავლებლებს. ამ ეტაპისათვის, სკოლაში ყველა კლასის ხელმძღვანელი გათავისუფლებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ ვინ ადგენდა სკოლაში სასწავლო გეგმას.

სკოლის დირექტორის განცხადებით აღნიშნული ევალებოდა სასწავლო ნაწილის გამგეს.

კახი ყურაშვილმა იკითხა, თუ რატომ არ იქნა შეტანილი ჭადრაკი სკოლის საათობრივ ბადეში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არის ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მონიტორინგის სამსახურის უფროსს, თუ იყო შესაძლებელი გამოსწორებისათვის ვადის მიცემა.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, სანამ დაწესებულების დოკუმენტაციას არ ნახავს და შეისწავლის, მანამდე მას დანამდვილებითი პასუხის გაცემა არ შეეძლო.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის განმარტებით, ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელი იყო, რადგან სასწავლო წელი დასრულებული იყო და შეფასებებიც - დაწერილი. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების მიხედვით დაწესებულებას შემაჯამებლები უფრო მცირე რაოდენობით ჰქონდა ჩატარებული, ვიდრე ეს კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული. მან კითხვით მიმართა მონიტორინგის ჯგუფს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას, რომელიმე სხვა საგანში უფრო მეტი შემაჯამებელი ჩატარებული, ვიდრე ამას ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს.

ექსპერტის, მიშა ტეფნაძის განცხადებით, სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის კოპირება ჰქონდა, შესაბამისად, ჰქონდა აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობები.

დავით კახნიაშვილის განმარტებით, თუ გეგმაზე მეტს ჩაატარებდნენ, მაშინ შესაძლოა სხვა საგანი შემცირებულიყო. თუმცა დასკვნაში ისეთი ხარვეზები ფიქსირდებოდა, რომელიც ცალსახად დარღვევა იყო, მაგალითად, საგზაო ნიშნების სწავლებისას არა ნიშანი, არამედ ჩათვლა იწერება, ისევე, როგორც ნიშნით არ ხდება აბიტურის შეფასება. ის ფაქტი, რომ სავალდებულო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ ახლავს სკოლის სასწავლო გეგმას, ეს სერიოზულ ხარვეზად მიიჩნია. მისი განმარტებით, აღსაშფოთებელია, როდესაც ჟურნალში არ არის საგნებისათვის გამოყოფილი გვერდები.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლეები, ძირითადად, ინგლისურ ენას სწავლობდნენ.

კახი ყურაშვილის განცხადებით, თუ ინგლისურის გარდა მოსწავლეები არ სწავლობდნენ სხვა უცხო ენას, მაშინ ჟურნალშიც არ უნდა იყოს მითითებული რამდენიმე უცხო ენა ერთსა და იმავე გვერდზე, რის გამოც შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელი უცხო ენა ისწავლება რეალურად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტოს, თუ რატომ მოხდა ჟურნალში მოსწავლეთა გვარების დაუფიქსირებლობის ფაქტი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, როდესაც მოსწავლეები გადმოვიდნენ კლასში 46 მოსწავლე გახდა, ხოლო ჟურნალებში, მხოლოდ 40 მოსწავლის გვარის ჩაწერაა შესაძლებელი.

შესვენება გამოცხადდა 21:00 სთ-ზე.
სხდომა განახლდა 21:36 სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს წევრებმა ქრონოლოგიურად გაიარეს ყველა ხარვეზი და შეჯერდნენ იმ პოზიციაზე, რომ ხარვეზების გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრა შედეგს არ გამოიღებდა, რადგან საკმაოდ ბევრი შენიშვნა გამოსწორებას არ ექვემდებარებოდა. ახლა რომ ხარვეზების გამოსწორების ვადა განსაზღვროს საბჭომ, 15 დღის შემდეგ იგივე გადაწყვეტილების მიღების წინაშე დადგება. ამდენად, უმჯობესი იქნება სკოლამ, ეს 15 დღე ახალი საავტორიზაციო განაცხადების მომზადებას დაუთმოს, თუ კვლავ სურთ საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობა.

საბჭომ განიხილა შპს - ხიხანის მრავალპროფილიან საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხიხანის მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებ ულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხიხანის მრავალპროფილიან საშუალო სკოლას გაუუქმდეს ავტორიზაცია.

3. შპს - აკადემია ლიბერთი პროფში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში ასახული შენიშვნების ნაწილი გამოსწორებულ იქნა, თუმცა კვლავ რჩება გარკვეული ხარვეზები.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული შეფასების სიტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა სასწავლო პრცესში დარღვეულია შეფასების სისტემის განხორციელება, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში, პირველ და მეორე სემესტრების საათორბივ ბადეს თან ერთვის სემესტრების მიხედვით შემაჯამებელ დავალებათა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მინიმალური რაოდენობა, რომლის მიხედვითაც:

<u>X კლასში:</u>

- სამოქალაქო განათლება ისწავლება პირველ სემესტრში და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა მითითებულია სამი. საკლასო ჟურნალის მიხედვით კი მოსწავლეებს შესრულებული აქვთ მხოლოდ ერთი;
- ისტორიის მასწავლებელს ნინო მესხს არ აქვს დაცული პირველი სემესტრის გრაფები. პირველი სემესტრისთვის გამოყოფილი გრაფები სრულდება 155-ე გვერდზე, მასწავლებელს მეორე სემესტრის ნიშნების შეტანა დაწყებული აქვს 151-ე გვერდიდან. ამავე მასწავლებელს სასკოლო სასწავლო გეგმით მეორე სემესტრში განსაზღვრული სამი შემაჯამებელიდან არც ერთი არ აქვს ჩატარებული;
- გეოგრაფიაში მეორე სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია სამი შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს, მაია დუდაურს, არ აქვს ჩატარებული არც ერთი შემაჯამებელი;
- ბიოლოგიის მასწავლებელს ც. ცერცვაძეს მეორე სემესტრში გათვალისწინებული სამი შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს ერთი;
- ფიზიკის მასწავლებელს ანზია ღვინაძეს მეორე სემესტრში გათვალისწინებული სამი შემაჯამებლიდან ჩატარებული აქვს ორი;
- ხელოვნებასა და მუსიკაში მოსწავლეებს არ აქვთ შეფასებები და რიგი ხარვეზებით არის ნაწარმოები საკლასო ჟურნალი, კერძოდ, გადახაზულია შეფასების გრაფები, ნიშნების მდებარეობა მითითებულია ისრებით და აღნიშნული შენიშვნების გრაფაში არ არის გადატანილი, ხოლო სკოლის დირექტორს იმავე შენიშვნების გრაფაში მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული სხვა სახის შეცდომები არ აქვს დამოწმებული.

<u>XI კლასში:</u>

- მათემატიკის მასწავლებელს თამარ ვარდუკაძეს მეორე სემესტრში გათვალისწინებული ექვსი შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს ერთი;
- საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის მასწავლებელს ნინო მესხს მეორე სემესტრში გათვალისწინებული სამი შემაჯამებლის ნაცვლად არ აქვს ჩატარებული არც ერთი შემაჯამებელი;
- გეოგრაფიის მასწავლებელს მაია დუდაურს მეორე სემესტრში გათვალისწინებული სამი შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს ორი;
- ქიმიის მასწავლებელს მეორე სემესტრში გათვალისწინებული ოთხი შემაჯამებელის მაგივრად ჩატარებული აქვს სამი;
- ბიოლოგიის მასწავლებელს მეორე სემესტრში გათვალისწინებული ორი შემაჯამებელის ნაცვლად არცერთი არ აქვს ჩატარებული;
- გეოგრაფიის მასწავლებელს მაია დუდაურს XI კლასის ჟურნალში ჩაყრილი აქვს ქულები მოსწავლეთა ბაზაში ჩარიცხვის წინა რიცხვებში. კერძოდ: მოსწავლე ი. იარალიშვილი სკოლის მოსწავლეთა ბაზაში ჩარიცხულია 2011 წლის 20 სექტემბერს და საკლასო ჟურნალში შეფასების გრაფაში ქულა შეტანილია 2011 წლის 11 სექტემბერს, მოსწავლე დ. გუგუნავა ჩარიცხულია 2011 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო ნიშნები შეტანილია 2011 წლის 22, 27 და 30 სექტემბერს. აღნიშნულ ქულებზე გადასმულია კორექტორი;
- საკლასო ჟურნალში შენიშვნების გრაფაში მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შეცდომები არ არის დამოწმებული სკოლის დირექტორის მიერ.

<u>XII კლასში:</u>

- მათემატიკის მასწავლებელს თ. ვარდუკიძეს პირველ სემესტრში განსაზღვრული ოთხი შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს ორი, ხოლო მეორე სემესტრში განსაზღვრული ექვსის ნაცვლად ერთი;
- ინგლისური ენის მასწავლებელს დ. ინატაშვილს მეორე სემსტრში განსაზღვრული სამი შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს ორი;
- საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის მასწავლებელს ნინო მესხს მეორე სემესტრში განსაზღვრული ერთი შემაჯამებლის ნაცვლად არც ერთი არ აქვს ჩატარებული;
- გლობალური პრობლემების გეოგრაფიის მასწავლებელს მაია დუდაურს მეორე სემსტრში განსაზღვრული ერთი შემაჯამებლის ნაცვლად არც ერთი არ აქვს ჩატარებული;
- ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები არ ფასდებიან აბიტურის საათში. ბიოლოგიის მასწავლებელს ც. ცერცვაძეს შემაჯამებელი აქვს ჩატარებული და შეფასებული ჰყავს მოსწავლეები და მიღებული ქულები დაფიქსირებული აქვს საკლასო ჟურნალში;
- ქიმიის მასწავლებელს ლ. შულაიას მეორე სემესტრში განსაზღვრული ორი შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს ერთი;
- არჩევით საგანში ეკონომიკა, განსაზრვრულია თიოეული სემესტრის განმავლობაში თითო შემაჯამებელი. მასწავლებელ ა. გრიშიკაშვილს არ აქვს ჩატარებული არცერთი შემაჯამებელი;

აღნიშნულებიდან გამომდინარე, დარღვეულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების სასკოლო სისტემა - ეროვნული სასწავლო გეგმით გათავალისწინებული "ქულების გამოანგარიშების წესი", რომლის მიხედვითაც მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო, შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე

კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობაზე.
სკოლის მასწავლებლებს მოსწავლეთა სემესტრული ქულის დაანგარიშებისას არ აქვთ გათვალისწინებული არ ჩატარებული შემაჯამებლების რაოდენობა და რეალურთან შედარებით მაღალი გამოდის მოსწავლის სემესტრული ქულა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს, სკოლის მიერ გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალების შესრულების საშუალება არ მიეცა, მოსწავლის სემესტრული ქულა დაბალი იქნება.
საკლასო ჟურნალის გადამოწმებისას დადგინდა, რომ X, XI და XII კლასებში უმეტს შემთხვევაში მოსწავლეებს არ აქვთ აღდგენილი გაცდენილი შემაჯამებლები. სკოლას დარღვეული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების სისტემით განსაზღვრული მოსწავლეების მიერ გაცდენილი შემაჯამებლების აღდგენის წესი, რომელშიც წერია, რომ „გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ, მოსწავლის გამოცხადებიდან 2 კვირის ვადაში“.
არიან მოსწავლეები, რომლებსაც მთელი სემესტრის განმავლობაში საშინაო დავალების კომპონენტში არ აქვთ შეფასება.
ხშირ შემთხვევაში არასწორადაა დათვლილი, მოსწავლეთა მიმდინარე შეფასებები - მიღებული ნიშნების რაოდენობა არ ემთხვევა ნიშნების საერთო ჯამს.

1.2 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში განთავსებულ სადამრიგებლო პროგრამის კლასის დამრიგებლების მოვალეობების მუხლში, რომლის მიხედვითაც, მშობლისადმი ინფორმაციის მიწოდება დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს თვეში მინიმუმ ერთხელ, თუმცა არ არის გაწერილი, თუ რა ფორმით მიეწოდება ინფორმაცია მშობელს. წარმოდგენილი კლასის დამრიგებლის ჟურნალის მეშვეობით კი შესაძლებელია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ 4 კრების ოქმის დაფიქსირება. მაგალითად, XII კლასის მოსწავლეების მშობლებს 2012 წლის 11 მარტის შემდეგ არ უდასტურდებათ შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღება.

დაწესებულების ხელმძღვანელობამ გამოიყენა დისციპლინარული პასუხისმგებლობა და სასტიკი საყვედური გამოუცხადა პედაგოგებს აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაწერილი იყო თუ არა შემაჯამებლების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რაოდენობა გაწერილი იყო, თუმცა მასწავლებლებს გამორჩათ, რის გამოც მიეცათ გაფრთხილება.

გიორგი ელისაბედაშვილის განცხადებით, ზოგ შემთხვევაში შემაჯამებლები საერთოდ არ იყო ჩატარებული, ამდენად, მხოლოდ გამორჩენასთან არ იყო საქმე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პირველ სემესტრში შემაჯამებლები სწორად იყო ჩატარებული, თუმცა მათი შემოწმება მონიტორინგის ჯგუფს არ მოუხდენია.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, ხარვეზია, როდესაც მოსწავლე სკოლაში ირიცხება 2011 წლის 20 სექტემბერსა და შეფასება კეთდება ამა წლის 11 სექტემბერს.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ციფრებთან დაკავშირებით შეცდომა იყო გაპარული. აღნიშნული შეცდომა კორექტორით იყო გადამოწმებული, რომელიც არ იყო დამოწმებული დირექტორის მიერ და შენიშვნის ფურცელში არ იყო გადატანილი.

ექსპერტის, მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დროს სასწავლო პროცესი დასრულებული იყო. მონიტორინგის ჯგუფს წამოღებული აქვს თითოეულ შენიშვნასთან დაკავშირებული დანართები, რომლებიც დაწესებულების ბეჭდით არის დამოწმებული. ამდენად, ყველა ხარვეზს თავისი მტკიცებულება გააჩნდა.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, დაუშვებელია ჟურნალში კორექტორით გადასწორდეს შეცდომა. ამისათვის არსებობს შენიშვნის ფურცელი, სადაც ნათლად ჩნდება შენიშვნა და შესაბამისი გამოსწორება, რომელიც ბეჭდით მოწმდება.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ჟურნალები მოწესრიგდა და ყველა შენიშვნა დამოწმდა სათანადო წესით.

შემაჯამებლებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათი ჩამატება ჟურნალში ვეღარ მოხერხდა და ნიშნების გამოთვლისას იქნა გათვალისწინებული. პედაგოგებს აღნიშნული მონაცემები საკუთარ რვეულში ჰქონდათ ასახული.

მიხეილ ტეფნაძის განცხადებით, მსგავსი რვეული ოფიციალურ დოკუმენტად ვერ ჩაითვლება და სკოლას რომც წარმოედგინა, აღნიშნული საბოლოო სურათს ვერ შეცვლიდა, რადგან ჟურნალები უკვე ჩახურული იყო.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ხარვეზების გამოსწორების ვადის განსაზღვრა შედეგს ვერ გამოიღებდა, რადგან ჟურნალებში არსებული მდგომარეობა ვერ შეიცვლება, ხოლო პედაგოგების რვეულების წარმოდგენას აზრი არ ჰქონდა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მათ შეუძლიათ მოსწავლეების ნაშრომების წარმოდგენაც. მისი განცხადებით, ჟურნალებში გადატანა, ფიზიკურად ვერ მოხერხდება.
საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სწორედ აღნიშნული გარემოება ხდიდა ხარვეზს გამოუსწორებელს.

საბჭომ განიხილა შპს - აკადემია ლიბერთი პროფ-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აკადემია ლიბერთი პროფ-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებ ულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აკადემია ლიბერთი პროფ-ს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

4. შპს - პროფესიულ კოლეჯ ,,ინტელექტის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 230-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ, განაცხადა, რომ შპს - პროფესიულ კოლეჯ ,,ინტელექტს'' მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 200 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - პროფესიულ კოლეჯ ,,ინტელექტის'' ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პროფესიულ კოლეჯ ,,ინტელექტის'' ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პროფესიულ კოლეჯ ,,ინტელექტს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 406071691) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

5. შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროგრამებში არ არის მითითებული სწავლების ხანგრძლივობა.

1.2 შეფასება იდენტურია ყველა პროგრამის ყველა სილაბუსში.

1.3 სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში არ ჩანს, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ანგარიში. სილაბუსების თანახმად პრაქტიკის დაცვა 40 ქულიანია.

1.4 ექვსივე პროგრამის სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსში არ ჩანს, თუ როდის ტარდება საბოლოო გამოცდა. მაგ.: გიდის პირველი საფეხურის სასწავლო კურსი „სტუმარმასპინძლობის საფუძვლების“ სილაბუსი გაწერილია 15 კვირაზე, კრედიტების გადანაწილების გრაფაში მითითებულია - 3 კრედიტი (75 საათი) - ლექცია - 17 სთ, პრაქტიკული მეცადინეობა - 28 სთ, დამოუკიდებელი - 24 სთ, შუალედური გამოცდა - 2 სთ, საბოლოო გამოცდა - 4 სთ. სასწავლო კურსის შინაარსში, კი საბოლოო გამოცდა არ არის მითითებული და გათვლილია 71 საათზე 75-ის ნაცვლად. ასეთივე მდგომარეობაა ექვსივე პროგრამის ყველა სილაბუსში. მაგ.: ბუღალტრის მე-3 საფეხურის სილაბუსებში „მარტივი კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები“; „ბუღალტრის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“ და სხვა სილაბუსებში.

1.5 პროგრამაში „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ მე-4 საფეხური, „ინგლისური 1“ - ის წინაპირობაა „სტუდენტი ფლობდეს ინგლისურ ენაში B1 დონეს“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ზოგადი უნარების გამოცდა. რთული დასადგენია, როგორ მოხდება სტუდენტის მიღება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ ექნება შესაბამისი დონე ინგლისურ ენაში. მაგალითად, თუ არის გერმანული ან ფრანგული სკოლის კურსდამთავრებული. თუმცა პროგრამაში მითითებულია, რომ ჩატარდება შესარჩევი ტური გასაუბრებით, მაგრამ რა ტიპის ან რომელ საგანში არსად არ არის გაწერილი.

1.6 სილაბუსი „მარკეტინგის საფუძვლების“ სწავლების შედეგები არ ემთხვევა პროგრამის სწავლების შედეგების რუკას. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული სწავლის უნარი.

1.7 სტანდარტის მიხედვით, გიდის პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა. წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია 2 კურსი,

უსაფრთხოება და პირველადი სამედიცინო დახმარების წესები, რომლებიც მოაზრებულია, როგორც სასწავლო პრაქტიკა. არც ამ სასწავლო კურსის შედეგები ემთხვევა პროგრამის სწავლის შედეგების რუკას. კურსი გათვლილია 15 კვირაზე (5 კრედიტი -125 საათი). ცალკე წარმოდგენილია სასწავლო კურსი „გიდის ასისტენტის მოვალეობანი“ (მოაზრებულია, როგორც სასწავლო - საწარმოო პრაქტიკა), რომელიც 10 კრედიტიანია და გათვლილია 15 კვირაზე.

1.8 კრიმინალისტის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენა ისწავლება ორი სემესტრის განმავლობაში და არის 6 კრედიტიანი. პირველ სემესტრში საგანზე დაშვების წინაპირობა არის სტუდენტის მიერ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო მეორე სემესტრში არის C1 დონე. პროფესიული პროგრამის მეოთხე საფეხურზე დაშვების წინაპირობაში გათვალისწინებულია კრიმინალისტის მე-3 საფეხურის დიპლომი. აღსანიშნავია, რომ მესამე საფეხურის ინგლისური ენის სწავლება სილაბუსების მიხედვით ითვალისწინებს მაქსიმუმ B1 დონეს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, პირი ირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, მხოლოდ უნარების ტესტით. აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება მეოთხე საფეხურზე ჩარიცხვის წესს. კერძოდ, იმისათვის, რომ სტუდენტმა დააკმაყოფილოს ინგლისური ენის კურსის წინაპირობა (B2 დონე), მე-3 საფეხური უნდა სრულდებოდეს ამ დონის მიღწევით და პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც უნდა ითვალისწინებდეს ამ მოთხოვნას.

1.9 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დებულებით გათვალისწინებული მემორანდუმები, გაფორმებული სხვადასხვა დაწესებულებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომ განათლებას. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ არსებობს მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკება იმ დაწესებულებებს შორის, რომლებშიც შესაძლებელი იქნება პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

1.10 დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ პროგრამის შემუშავების წესი. ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 კრიმინალისტის III და IV საფეხურების პროგრამისათვის დაწესებულებაში არ არის პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი მატერიალური რესურსი: კრიმინალისტიკური ტექნიკა - კვალების აღმოჩენის, ფიქსაციის, ამოღებისა და შეფუთვის საშუალებები.

2.2 ბუღალტრის მესამე საფეხურის პროგრამა ითვალისწინებს „ორისის“ შესწავლას. წარმოდგენილ იქნა კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი პროგრამის დემო-ვერსია, რომელიც მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკარის კომპიუტერში იყო ჩატვირთული.

2.3 ინვენტარის აბსოლუტური უმრავლესობა, გარდა 5 კომპიუტერისა, დაწესებულებას გადაცემული აქვს თხოვების ხელშეკრულებით - შპს „კავკასიური ჰუმანიტარული უნივერსიტეტისაგან“, რომელიც იმავე შენობაში 4 სართულზე მდებარეობს. წარმოდგენილ იქნა სასაქონლო ზედნადები 5 კომპიუტერის კომპლექტის შესყიდვაზე, დადასტურებული გამყიდველი მხარის მიერ, კომპიუტერები ადგილზე იქნა მოტანილი ვიზიტის დროს.

2.4 ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი დაწესებულებას მიეწოდება, თუმცა არ არის ცალკე აბონენტად აყვანილი არც მესაკუთრესა და არც დამქირავებელზე.

ბუღალტრის მიერ წარმოდგენილ იქნა ქვითრები, რომელიც აღრიცხულია შპს - რამიშვილი და კომპანიაზე. მისი განმარტებით ხდება დავალიანების განაწილება მომხმარებლებს შორის, წარმოდგენილ იქნა გადარიცხვის ქვითრები.

2.5 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1400 მდე ერთეულს. წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა დაწესებულებას გადაცემული აქვს თხოვების ხელშეკრულებით შპს - კავკასიური ჰუმანიტარული უნივერსიტეტისაგან და კერძო პირებისგან. წიგნების რაოდენობა და ჩამონათვალი დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, თხოვების ხელშეკრულებებით და აუდიტის დასკვნით. საბიბლიოთეკო წესით დამუშავებულია მხოლოდ 106 ერთეული, შესაბამისად, ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში შეტანილია მხოლოს 106 ერთეული წიგნებისა, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურას. დამატებითი ლიტერატურა, ბიბლიოთეკარის განმარტებით, დამუშავების სტადიაშია. აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო სამართლის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული საკანონმდებლო მასალა, კერძოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მოძველებულია (2009) და არ ასახავს მოქმედ რეგულაციებს.

2.6 საქმისწარმოების ჟურნალები დაინომრა, ბეჭედი დაესვა და აიკინძა ექსპერტთა ვიზიტის დროს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება 18 მასწავლებლის მიერ. 3 მათგანის, კერძოდ, ანა არველაძის, ნაზიკო ალხანაშვილისა და ნატა ტრაპაიძის პირადი საქმეების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

1) ანა არველაძე კითხულობს შემდეგ საგნებს:

ა) ბუღალტრის III საფეხურზე - პროფესიული ეთიკა;

ბ) გიდის I და II საფეხურზე - 1) ეტიკეტი და პროფესიული ეთიკა; 2) ფსიქოლოგია;

გ) მცირე ბიზნესის მწარმოებელი - ბიზნესის ეტიკეტი.

კვალიფიკაცია:

- საკონცერტო შემსრულებელი, მასწავლებელი, კონცერტმეისტერი, კამერული ანსამბლის სოლისტი;
- ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების კანდიდატი.

წარმოდგენილი CV - ის მიხედვით შესაბამისი პროფესიული გამოცდილება არ დასტურდება.

2) ნატა ტრაპაიძე კითხულობს შემდეგ საგნებს:

ა) კრიმინალისტის III საფეხურზე - ხაზვა.

კვალიფიკაცია: მათემატიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებელი.

წარმოდგენილი CV - ის მიხედვით შესაბამისი პროფესიული გამოცდილება არ დასტურდება.

3) ნაზიკო ალხანაშვილი გიდის I და II საფეხურებზე კითხულობს შემდეგ საგნებს:

1) ტურიზმი და გარემოს დაცვა;

2) სტუმარ-მასპინძლობის საფუძვლები;

3)ტურიზმის ინდუსტრია;

4) გიდის ხელოვნება.

კვალიფიკაცია: სამრეწველო თბოენერგეტიკის ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

წარმოდგენილი CV - ის მიხედვით შესაბამისი პროფესიული გამოცდილება არ დასტურდება.

3.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არ შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებს.

2012 წლის 18 აპრილის N1 კრების ოქმით დამტკიცებულია კოლეჯის დებულება, რომლის 23-ე მუხლის - პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის თანახმად, განცხადებას თან უნდა დაერთოს: პირადი განცხადება, განათლების დამატასტურებელი დოკუმენტაცია, 3 წლის სტაჟის დამატასტურებელი ცნობა, CV, პირადობის მოწმობის ასლი, 2 ფოტოსურათი. 18 მასწავლებლის პირადი საქმიდან მხოლოდ 1 მასწავლებლის დიპლომის ასლი იყო დამოწმებული ნოტარიულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ იყოს გაწერილი სწავლის ხანგრძლივობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სწავლის ხანგრძლივობა მითითებული იყო კატალოგში.

ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის, განმარტებით, პროგრამაში იყო მხოლოდ კრედიტების ოდენობა გაწერილი და არა ხანგრძლივობა, ხოლო სილაბუსებში აღნიშნული შენიშვნა აღარ მეორდებოდა.

საბჭომ სწავლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული შენიშვნა მოხსნა.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ შეფასების სისტემა იყო ზოგადი და არ ჩანდა, თუ როგორ მიიღწოდა თითოეული შეფასება.

საბჭომ აღნიშნული შენიშვნაც მოხსნა.

პრაქტიკის 40 ქულიან შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 20 ქულა ეთმობა დაცვას, ხოლო დანარჩენში - პრაქტიკის ანალიზის წარდგენა იგულისხმებოდა.

ლალი ღოღელიანის განმარტებით, თუ აღნიშნული ექსპერტმა ვერ გაიგო, სტუდენტსაც გაუჭირდებოდა აღქმა.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ეს ყოველივე პრაქტიკის დებულებაში იყო გაწერილი.

ლალი ღოღელიანის განმარტებით, პრაქტიკის დებულება შესაძლოა ყველა სტუდენტს არ ენახა, განსხვავებით პროგრამისა და სილაბუსისა.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესისათვის დათმობილი იყო 15 კვირა. შემდეგში რეგულირდებოდა ცხრილით.

ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის, განცხადებით, არსად ჩანს, თუ როდის ტარდება გამოცდები აღნიშნული 15 კვირის შემდეგ.

კახი ყურაშვილის განცხადებით, ცხრილი არ უნდა ყოფილიყო ის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ვადები.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზი იყო ტექნიკური ხასიათის. კერძოდ, წინაპირობად მითითებული იყო ინგლისურ ენაში B1 დონის ფლობა, თუმცა შინაარსიდან გამომდინარე საგანს არ გააჩნდა წინაპირობა. ამ ეტაპზე ხარვეზი გამოსწორებულია, შესაბამისად პროგრამაში „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ მე-4 საფეხური, „ინგლისური 1“-ს აღარ გააჩნია წინაპირობა.

1.6 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შინაარსობრივად სწავლის უნარი მოიაზრებოდა პროფესიულ ზრდაში.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება მოცემულ შენიშვნასთან დაკავშირებით არაადეკვატურია და ზემოაღნიშნული წარმოადგენს აშკარა ხარვეზს.

საბჭოს თავჯდომარის თხოვნით, 1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ გიდის პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა. დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა სასწავლო-საწარმოო და საწარმოო პრაქტიკა, რაც წარმოადგენს სტანდარტის დარღვევას. ამასთან, თავად სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, ვინაიდან ხუთივე კრედიტი მინიჭებული ჰქონდა სასწავლო კურსს „პირველადი სამედიცინო დახმარების წესები“. გიდის სასწავლო პრაქტიკა შეიძლება მოიცავდეს მოცემულ კურსს, მაგრამ მხოლოდ მისით არ უნდა შემოიფარგლოს.

1.8 შენიშვნასთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ კრიმინალისტის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენის სწავლება სილაბუსების მიხედვით სრულდება B1 დონის მიღწევით. შესაბამისად, კრიმინალისტის მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც უნდა ითვალისწინებდეს ამ მოთხოვნას, და არა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას.

1.9 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობს ზეპირი მოლაპარაკებები მემორანდუმის თაობაზე, თუმცა წერილობითი ფორმით დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული არ აქვს.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციასთან დაკავშირებული წარმოება იწყება დაწესებულების განაცხადის საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ ეტაპისათვის დაწესებულება მზად უნდა იყოს ავტორიზაციის სტანდატების დაკმაყოფილებისათვის.

1.10 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობს სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის ფორმები, რომელთა წარმოდგენაც ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა მოცემული ფორმა ოფიციალურად დამტკიცებული ან ოფიციალურად გაწერილი გამოკითხვის ჩატარების წესები, პირობები ან/და გამოკითხვის შედეგებზე მოსალოდნელი რეაგირების გზები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვასთან დაკავშირებით დაწესებულებას არ გააჩნდა ოფიციალურად დამტკიცებული ფორმა, ან რაიმე სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტი.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ მემორანდუმი დაწესებულებას გაფორმებული აქვს შპს - საქართველოს უნივერსიტეტთან.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ აქვს იჯარის ხელშეკრულება, არსებობს მხოლოდ მემორანდუმი.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან გაფორმებულია მემორანდუმი და არ არსებობს მემორანდუმის პირობების შესრულების კუთხით გონივრული ეჭვის შეტანის საფუძველი (მაგალითად, არ მომხდარა ექსპერტთა ვიზიტის დროს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელთან ინტერვიუირება, რაც დაადასტურებდა, რომ რეალურად არ სრულდება მომარანდუმის პირობები), საბჭო მოხსნიდა 2.1 შენიშვნას დაწესებულების სასარგებლოდ.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა რეალურად ჩაწერილია დისკზე, უბრალოდ არ იყო მისი კომპიუტერებში გადატანის პროცესი დასრულებული.

საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტი და მისი მცირემნიშვნელოვნებიდან გამომდინარე მოხსნა 2.2 შენიშვნა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2.3, 2.4 და 2.6 პუნქტებში იყო ჩამოყალიბებული ფაქტობრივი გარემოებები და არა შენიშვნები, შესაბამისად, საბჭომ ამაზე აღარ არ იმსჯელა.

2.5 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან, შპს - კავკასიური ჰუმანიტარული უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა მილევად რეჟიმში, დაწესებულებას წიგნადი ფონდი გადმოეცა თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე.

3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ანა არველაძეს გააჩნდა ქართულ-ფრანგულ სასწავლო უნივერსიტეტი ლიტერასა და ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში მუშაობის გამოცდილება.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ არსებული დოკუმენტაციით არ დასტურდება ანა არველაძისა და ნატა ტრაპაიძის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან. რაც შეეხება ნაზიკო ალხანაშვილს, საბჭოს თავჯდომარის განცხადებით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ.: სტუმარ-მასპინძლობის საფუძვლების კვალიფიკაციით ადრე სპეციალისტები არ მზადდებოდა) მოცემული კადრის კვალიფიკაციის საკითხი არ იყო პრობლემური.

საბჭოს წევრებმა, ლალი ღოღელიანმა და დავით კახნიაშვილმა, არ გაიზიარეს საბჭოს თავჯდომარის პოზიცია ნაზიკო ალხანაშვილის კვალიფიკაციის თავსებადობასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრების განმარტებით, არანაირად არ დასტურდებოდა ნაზიკო ალხანაშვილის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, ხოლო რაც შეეხება საგნის სპეციფიკას, კვალიფიციური კადრის მოძიება ამ საგანში უკვე აღარ წარმოადგენდა პრობლემას.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, იყვნენ თუ არა კოლეჯში იმავე საგნის სხვა მასწავლებლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯს არ ჰყავდა საგნის სხვა მასწავლებლები.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული ხარვეზების განხილვის შედეგად საბჭომ არ გაიზიარა 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3 და 2.5 შენიშვნები; დარღვევა დადასტურდა 1.5, 1,6, 1.9, 1.10 და 3.1 შენიშვნებთან დაკავშირებით; ხოლო 3.2 შენიშნვა წარმოადგენდა ხარვეზს, თუმცა იგი არაარსებითი ხასიათის იყო.

23 საათსა და 11 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 23 საათსა და 18 წუთზე.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 400020017) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს - თისოჰმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების ხელმღღვანელი ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს, შესაბამისად შენიშვნების მოსმენის შემდეგ შესაძლებელი იყო პირდაპირ კენჭისყრის ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ წარმოადგინა მზარეულის პირველი საფეხურის პროგრამა. პროგრამა არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

1.2 მითითებულია პროგრამის მოცულობა - 30 კრედიტი, სრული 750 საათი. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები. შესაბამისად, პროგრამა შეუსაბამოა პროფესიული განათლების კრედიტების სისტემასთან. შესაბამისად, ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები.

1.3 პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების ენა. სწავლების ენა (ინგლისური) განსაზღრულია მხოლოდ შინაგანაწესით.

1.4 წარმოდგენილ პროგრამას არ აქვს წინაპირობა. წინაპირობის გრაფაში მითითებულია: „ინგლისურ ენოვანი სახელმძღვანელოების ცოდნა სავალდებულოა“.

1.5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის განსაზღვრული საათების რა წილი (პროცენტი) ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას.

1.6 პროგრამაში სწავლის შედეგები პროგრამაში განსაზღვრული არ არის.

1.7 წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია მეთოდების ჩამონათვალი, თუმცა არ არის გაწერილი სასწავლო კურსის შინაარსი. ამიტომ ვერ დგინდება კურსის თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.8 პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციაა - ,,პროფესიული კვალიფიკაციის პირველი დონე“. აღნიშნული არღვევს მზარეულის პროფესიულ სატნდარტს. სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს - მზარეულის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

1.9 სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა 12 თვე, რომელიც შედგება 3 ფაზისგან. თითოეული ფაზის ხანგრძლივობაა 4 თვე. ფაზების მიხედვით არის საგნების ჩამონათვალი, რომელიც არ ემთხვევა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალთან დადებულ კონტრაქტებში მითითებულ სასწავლო კურსებს.

1.10 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სასწავლო კურსების სილაბუსები.

1.11 დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი ვერ წარმოადგინა.

1.12 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს.

1.13 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

1.14 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.15 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - თისოჰმი 2012 წლის 30 იანვარს ფ/პ გურამ რატიანთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისში, სამღერეთის ქუჩა №74-სა და №76-ს შორის ფლობს შენობა-ნაგებობას. შენობის სარდაფში განთავსებულია 1 საკლასო ოთახი და სველი წერტილი, პირველ სართულზე - მისაღები ოთახი, სამზარეულო და დირექტორის კაბინეტი, მეორე სართულზე - 2 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა და სველი წერტილი. აღნიშნული ქირავნობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.2 დაწესებულებაში არსებული საკლასო ოთახების რაოდენობა შეადგენს სამს. 2 საკლასო ოთახი განთავსებულია შენობის მე-2 სართულზე. 1 საკლასო ოთახს, რომელიც განთავსებულია შენობა-ნაგებობის სარდაფში, არა აქვს ბუნებრივი განათება. ავტოფარეხში (27.47 კვ.მ.) განთავსებულია მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ოთახი, რომელსაც ასევე არა აქვს ბუნებრივი განათება. სასწავლო პრაქტიკის ოთახში გამწოვი არ არის დამონტაჟებული. შპს - თისოჰმა ვერ წარმოადგინა საწარმოო ან/და სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის, შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული დოკუმენტაცია.

სასწავლო პროცესის წარმართვისთვის დაწესებულებას აქვს: 17 სამადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამები და დაფები. სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

2.3 ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მე-2 სართულზე. ბიბლიოთეკაში არ არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ასევე არ არის მკითხევლთა ბარათები. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში მოწყობილი არ არის სამკითხველო დარბაზი. წიგნების საინვენტარიზაციო დოკუმენტის თანახმად, ავტორიზაციის მაძიებლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 92 წიგნი. დაწესებულებაში არსებული წიგნადი ფონდი შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას. გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკაში არ იყო შემდეგი წიგნები: სტიუარდ მაკინდისა და ბობ პასტინგის ,,წარმატება“, თამარ ჯაფარიძის, მანანა თევზაძის, თინა ჩხეიძისა და თამარ ჩხეიძის ,,წარმატება“, ჯონ ისტვუდის ,,ოქსფორდის გამოყენებითი გრამატიკა“. შპს - თისოჰმა ვერ წარმოადგინა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.4 დაწესებულებაში კომპიუტერული კლასი არ ფუნქციონირებს. დაწესებულებას აქვს 3 კომპიუტერი (აქედან 2 პერსონალური), 2 პრინტერი და 1 ფაქსის აპარატი. აღნიშნული ინვენტარი შეძენილია შპს - თბილისის საერთაშორისო ჰოტელ მენეჯმენტის სკოლის მიერ. შესაბამისად, ვერ დასტურდება შპს - თისოჰმის მიერ მოცემული ინვენტარის კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობის ფაქტი. შენობაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია Wi-Fi-ს მეშვეობით.

2.5 დაწესებულება ერთ რვეულში აწარმოებს გასული და შემოსული კორესპონდენციის, ასევე დირექტორის ბრძანებების აღრიცხვას. აღნიშნული რვეულის გვერდები არ არის დანომრილი და ბეჭედდასმული. შესაბამისად, ეჭვს იწვევს კორესპონდენციის აღრიცხვის სანდოობა.

2.6 შენობაში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შენობაში განთავსებულია 1 ცეცხლმაქრი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შეძენილია საჭირო რაოდენობის პირველადი დახმარების მედიკამენტები. სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას არ ჰყავს დანიშნული არც ექთანი და არც დარაჯი. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შენობის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება 6 უსაფრთხოების კამერის მეშვეობით. აღნიშნული კამერები შეძენილია შპს - თბილისის საერთაშორისო ჰოტელ მენეჯმენტის სკოლის მიერ. შესაბამისად, ვერ დასტურდება შპს - თისოჰმის მიერ აღნიშნული ინვენტარის კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობის ფაქტი. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულების დირექტორის მიერ დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერების ჩართვა ვერ მოხერხდა.

2.7 შენობის სარდაფში და პირველ სართულზე დამონტაჟებულია პანდუსები. მეორე სართულზე, სადაც განთავსებულია 2 საკლასო ოთახი და ბიბლიოთეკა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის არ არის დამონტაჟებული პანდუსი. დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის მოწყობილი არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

2.8 დაწესებულების ვებ-გვერდის მისამართია - www.tisohm.ge ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდი ნაწილობრივ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს. შპს - თისოჰმის დირექტორის განმარტებით, შეფერხების მიზეზი გახლდათ საიტზე განხორციელებული ჰაკერული შეტევა. ექსპერტთა მიერ Google.com-ის მეშვეობით მოხდა დაწესებულების ვებ-გვერდის დათვალიერება. აღნიშნული გვერდი მხოლოდ ინგლისურენოვანია, მასზე განთავსებულია - მზარეულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ინფორმაცია სასერტიფიკატო კურსებისა და მასწავლებლებისა შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია.

შპს - თისოჰმის დირექტორმა წარმოადგინა შპს - კავკასუს ონლაინსა და შპს - თბილისის საერთაშორისო ჰოტელ მენეჯმენტის სკოლას შორის გაფორმებული შეთანხმება ვებჰოსტინგისა და დომენის შესახებ. შესაბამისად, www.tisohm.ge-ს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობა უდასტურდება არა ავტორიზაციის მაძიებელს, არამედ შპს - თბილისის საერთაშორისო ჰოტელ მენეჯმენტის სკოლას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. დაწესებულებას საქმიანობის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული 7 ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. კოლეჯის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს: დირექტორი, სისტემური ადმინისტრატორი, ვებ-დეველოპერი, პიარ-მენეჯერი, ბუღალტერი, დირექტორის ასისტენტი და შიდა დამხმარე. აღნიშნული პერსონალის პირად საქმეებში არ აღმოჩნდა პირადი განცხადებები. სისტემურ ადმინისტრატორთან, შიდა დამხმარესთან და დირექტორის ასისტენთან ხელშეკრულებებს ვადა ჰქონდა გასული.

3.2 საგანამანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაცის მასწავლებლების მიერ. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით,

ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული 8 პედაგოგთან, შემდეგი სასწავლო კურსების სწავლებაზე: უნარ-ჩვევები, დასუფთავების მენეჯმენტი, ინგლისური ენა, მიმღები განყოფილების კურსი, კვების და სასმელების მართვის მენეჯმენტი. ეს სასწავლო კურსები არ ემთხვევა პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს. გარდა ამისა, „მიმღები განყოფილების კურსის“ ერთ პედაგოგთან ხელშეკრულებას ვადა აქვს გასული. დანარჩენებთან ხელშეკრულების ვადა იწურება 2012 წლის 19 სექტემბერს. „ინგლისური ენის“ სამი პედაგოგიდან, კვალიფიკაციის შესაბამისობა სასწავლო კურსთან უდასტურდება 2 პედაგოგს. „დასუფთავების მენეჯმენტის კურსის“ პედაგოგს დამთავრებული აქვს ჩინური მედიცინის ფაკულტეტი. სამუშაო გამოცდილება მითითებულია CV-ში, მაგრამ არ დასტურდება დოკუმენტალურად. „უნარ-ჩვევების“ პედაგოგის პირად საქმეში აღმოჩნდა მხოლოდ ხელშეკრულება და პასპორტის ასლი. „კვებისა და სასმელების მართვის მენეჯმენტის კუსის“ პედაგოგის პირად საქმეში ხელშეკრულების გარდა, აღმოჩნდა მხოლოდ პირადობის ასლი და სარეკომენდაციო წერილები სხვადასხვა სასტუმროებიდან. პირადი განცხადებები და განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები არ იყო პედაგოგთა პირად საქმეებში.

3.3 პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა არ ხორციელება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულების მიერ ერთ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულების ვადა გასულია. დანარჩენებთან ეს ვადა იწურება 2012 წლის 19 სექტემბერს.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა შპს - თისოჰმის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თისოჰმის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თისოჰმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400028019) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენე საბჭოს სხდომის 8 აგვისტოს გაგრძელების საკითხი. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 არც ერთ სილაბუსში არ არის მითითებული სასწავლო კურსის წინაპირობები, სწავლების მეთოდები, დასკვნითი გამოცდის გადაბარების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტის შეფასება გაწერილია პროცენტებით.

1.2 სასატუმრო საქმისმწარმოებლის ინგლისური ენის სილაბუსში გაწერილი არ არის დასკვნითი და შუალედური გამოცდის საათები.

1.3 სილაბუსში "ჰაუსქიფინგის საფუძვლები" - თემატიკის მიხედვით გაწერილი საათების რაოდენობა არ შეესაბამება სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას.

1.4 სასატუმრო საქმისმწარმოებლის სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტებად მითითებულია ბათუმის სასტუმროები და თემატიკაც ამ სასტუმროებზეა გაწერილი.

1.5 ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამის მოცულობაა 25 კრედიტი, რომლის 50% ეკუთვნის თეორიულ კომპონენტს, 50% კი - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. თუმცა, სასწავლო გეგმაში საწარმოო პრაქტიკა არის 3 კრედიტიანი. დაწესებულებამ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი ვერ წარმოადგინა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებას ბიბლიოთეკის დებულება ან ბიბლიოთეკის საქმიანობის რაიმე წესი შემუშავებული არ აქვს.

2.2. ექსპერტთა ვიზიტის დროს ვებგვერდი არ ფუნქცონირებდა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ჰოსტინგისა და დომეინის ხელშეკრულებები.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიულ სტანდარტში მასწავლებლებისადმი წაყენებულ დამატებით მოთხოვნად მითითებულია, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დიდ სასტუმროში პრაქტიკოს მენეჯერად მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება, ან სასტუმრო საქმისმწარმოებლის IV და V საფეხურის პროფესიული დიპლომი. დაწესებულებას აღნიშნული კვალიფიკაციის ან სამუშაო გამოცდილების მასწავლებელი არ ჰყვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარს“ არსებული ხარვეზების გათვალისწინებით შემუშავებული ჰქონდა ახალი პროგრამები, რომლებიც წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ცენტრის წარმომადგენელს, თუ როდის მოხდა დაწესებულების მიერ ახალი პროგრამების წარმოდგენა.

ცენტრის თანამშრომელმა, ნინო ბეგიაშვილმა, განაცხადა, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენა მოხდა 2012 წლის 7 აგვისტოს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტ, ნონა ზუმბაძეს, შეეძლო თუ არა მას სხდომის ფორმატში შეემოწმებინა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მისი გათვალისწინებით დაედასტურებინა ხარვეზების გამოსწორების ფაქტი.

ექსპერტმა, ნონა ზუმბაძემ, განაცხადა, რომ წარმოდგენილი იყო ახალი სილაბუსები, ასევე შეცვლილი იყო კრედიტები, შესაბამისად, დოკუმენტაცია საჭიროებდა საფუძვლიან ანალიზსა და ფაქტიურად ახალ საექსპერტო ვიზიტს.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს სხდომის ფორმატში მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ხარვეზების გამოსწორების ფაქტის დადასტურება, საბჭო მიიღებდა დაწესებულების სასარგებლო გადაწყვეტილებას. მოცემულ შემთხვევაში კი, აღნიშნული შეუძლებელი იყო.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარს“ უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	II საფეხური	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე	25

	040151		საფეხურის კვალიფიკაცია.	
2.	სასტუმრო საქმისმწარმოებელი 020553	III საფეხური	სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა საბჭოს წევრებისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და მხარი დაუჭირა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარისათვის“ დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებას.

8. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას არ აქვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მობილობის წესი შემუშავებული.

1.2 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ზემოხსენებული რეგულაციები არსებობდა შინაგანაწესსში. ამასთან, სამუშაო პროცესი არ იყო დასრულებული და არ არსებობდა ცალკე დოკუმენტაცია, რომელიც ამ საკითხებს დაარეგულირებდა. პროცესის გაჭიანურება კი, წარმომადგენლის განმარტებით, გამოიწვია დაწესებულების სამართლებრივი ფორმიდან (სსიპ) გამომდინარე არსებულმა მოთხოვნებმა, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შეთანხმების აუცილებლობამ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რა რეგულაცია არსებობდა კოლეჯში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოცემული რეგულირდებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით დაწესებულების მხრიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ წესზე აპელირება არ იყო სწორი, რადგანაც, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება ავალდებულებს თითოეულ დაწესებულებას, თავად შეიმუშაოს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი, რომელიც დაეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, განაცხადა, რომ ვინაიდან შენიშნვა დაკავშირებული იყო საინფორმაციო ცენტრის

საშუალებით ჩარიცხვებთან, მას მიაჩნდა, რომ ხარვეზი უახლოეს მომავალში აღმოიფხვრებოდა.

საბჭოს თავჯდომარის განმარტებით, საბჭოს მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილება, მოცემულ შემთხვევაში, კი მისი აზრით, სტანდარტი არ იყო დაკმაყოფილებული. შესაბამისად, დადებითი გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა პრეცედენტული ხასიათი.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწესებულება იყო გამოუვალ მდგომარეობაში, ვიანიდან სტუდენტთა მობილობა დაკავშირებულია თანხის გადატანასთან, ეს საკითხები კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ჯერ არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. შესაბამისად, ლალი ღოღელიანის აზრით, გადაწყვეტილების მიღების დროს საბჭოს მხედველობაში უნდა მიეღო არსებული ობიექტური მდგომარეობა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას რომც ჰქონოდა შემუშავებული მოცემული რეგულაციები, ეს იქნებოდა მკვდარი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც სამინისტროს მიერ დადგენილი წესისაგან დამოუკიდებლად მაინც ვერ იმოქმედებდა. შესაბამისად, სხვა სასწავლებლების მიერ შემუშავებული რეგულაციები არ იყო რელევანტური და საბჭოს ეს უნდა გაეთვალისწინებინა.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151	II საფეხურის	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის კვალიფიკაცია	30 კრედიტი

2	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151	III საფეხურის	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	35 კრედიტი
3	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი (010159)	III საფეხური	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60 კრედიტი

საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და მხარი არ დაუჭირა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის“ დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებას.

9. ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტს“ მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა

1	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მეორე საფეხური	სარესტორნო საქმის მწარმოებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	25 კრედიტი
2	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მესამე საფეხური	სარესტორნო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	25 კრედიტი
3	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	მესამე საფეხური	სასტუმრო საქმის მწარმოებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60 კრედიტი
4	საკერავი მანქანის ოპერატორი	მესამე საფეხური	საკერავი მანქანის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30 კრედიტი
5	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	მესამე საფეხური	საკერავი მანქანის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45 კრედიტი
6	საკერავი მანქანის მექანიკოსი	მესამე საფეხური	საკერავი მანქანის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30 კრედიტი

საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და მხარი არ დაუჭირა ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტისათვის“ დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებას.

10. შპს - ქართულ-ევროპული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ქართულ-ევროპული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ევროპული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ქართულ-ევროპული აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	"ოფისის მენეჯმენტი	II	"ოფისის მენეჯერის	30 კრედიტი;

	(მდივან-რეფერენტი)"		(მდივან-რეფერენტი) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია"	
2	"ოფისის მენეჯმენტი (მდივან-რეფერენტი)"	III	"ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერეტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია"	30 კრედიტი;
3	"ღონისძიებათა მომწყობი (ივენთ მენეჯმენტი)"	III	"ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია"	60 კრედიტი;
4	"სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი"	V	"სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია"	150 კრედიტი;

11. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151	II საფეხური	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის კვალიფიკაცია.	25
2.	კომპიუტერული	II საფეხური	კომპიუტერული	25

	გრაფიკოსი 040152		გრაფიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
3.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი 020360	IV საფეხური	მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	ფარმაცევტის თანაშემწე 090351	V საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
5.	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) 020356	II საფეხური	ოფისის მენეჯერის(მდივან-რეფერენტი)მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	30

12. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ - იბერიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ გააკეთა განცხადება, რომ დაწესებულების პროგრამები დამატებით შეისწავლა ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურმა, რომელსაც ჰქონდა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო ზეპირი მოსმენისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, შესაბამისად პროგრამების დამატებითი შესწავლა, კონკრეტული სამსახურის მხრიდან აღარ არის საჭირო.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ - იბერიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ - იბერიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ - იბერიას მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	II	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2.	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	III	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3.	სტილისტი	III	სტილისტ-პარიკმახერის /ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
4.	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	I	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
5.	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	II	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
6.	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	III	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	30

13. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალ ტალღას“ მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1	ბუღალტერ-მოანგარიშე	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე.	30 კრედიტი
2	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90 კრედიტი

14. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მიმღები–რეცეფციონისტი მესამე საფეხურის სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულმა იცის სასტუმროს დაჯავშნის სამსახურის საქმიანობა, რომლის მიხედვით კურსდამთავრებულს შეუძლია სასტუმროს მართვის ერთერთი საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის (როგორებიცაა მაგ: FIDELIO; OPERA და ა.შ.) საშუალებით დაჯავშნის პროცედურების განხორციელება. აღნიშნულ პროგრამებს არ ფლობს არც კოლეჯი, არც სასტუმრო, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის ფარგლებში საწარმო პრაქტიკის გავლის მიზნით. სასწავლო კურსის – „სასტუმროში მოქმედი სამსახურები“ – სილაბუსში მითითებულია 2 გასვლითი ლექცია „სასტუმროს მართვის ერთ–ერთი საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით დაჯავშნისა და მიღება–განთავსების პროცედურების შესწავლის მიზნით“. ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული გასვლითი ლექციების ჩატარების ადგილის შერჩევა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი დამუშავების პროცესშია.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს პრაქტიკის გავლის მიზნით გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ერთ-ერთ სასტუმროსთან, სადაც პროფესიული სტუდენტები შეისწავლიდნენ სასტუმროს მართვის ერთ–ერთ საერთაშორისო კომპიუტერულ პროგრამას. მოცემული შეთანხმება ითვალისწინებდა ისეთი საერთაშორისო პროგრამების სწავლებას, როგორიცაა Booking, Agonda. აღნიშნულის დასადასტურებლად კოლეჯის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 2012 წლის 20 ივლისს შპს ,,ტმგ გრუპთან“ დადებული ხელშეკრულება. მიმღებ-რეცეფციონისტის პროფესიული სტანდარტის თანახმად პროფესიულ სტუდენტს უნდა შეეძლოს სასტუმროს მართვის ერთ-ერთი საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით მიღება-განთავსების პროცედურების განხორციელება. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა აღნიშნული შენიშვნა არ გაიზიარეს.

საბჭომ განიხილა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	პირველი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	20
2.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მეორე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	20
3.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	20
4.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მეოთხე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
5.	მიმღები-რეცეფციონისტი	მესამე	III საფეხურის მიმღები-რეცეფციონისტის პროფესიული კვალიფიკაცია.	45

15. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 არც ერთ სილაბუსში დასკვნითი გამოცდის გადაბარება არ არის მითითებული, თუმცა პროგრამაში მითითებულია, რომ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღებიდან არანაკლებ 10 დღეში.

1.2 ყველა პროგრამის პრაქტიკის სილაბუსის შეფასების კრიტერიუმებში გაწერილია, რომ სტუდენტის შეფასება ხდება პრაქტიკის დღიურის წარმოებით, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებითა და დასკვნითი გამოცდით. თუმცა, სილაბუსში პრაქტიკის დღიურის წარმოებისა და პრაქტიკის ანგარიშისათვის საათები გამოყოფილი არ არის.

1.3 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებასთან.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებაში არ არის ფარმაცევტის თანაშემწის და ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად პრაქტიკული მეცადინეობის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი.

2.2 დაწესებულებაში არ არის კეთილმოწყობილი სველი წერტილები. ასევე, არ არის მოწყობული სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის ადაპტირებული სველი წერტილი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, მითითებული იყო დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, უმჯობესი იყო სილაბუსშიც ყოფილიყო მოცემული აღნიშნული ინფორმაცია. შესაბამისად, მისი შეხედულებით, 1.1 შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

1.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდებოდა პრაქტიკის დღიურის წარმოებით, შესაბამისად, დღიურის

წარმოების საათები ვერ იქნებოდა გაწერილი. ავტორიზაციის საბჭოს წევრების მოსაზრებით, დაფიქსირებული შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ სხვა დაწესებულებებთან.

საბჭომ განიხილა ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი_და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ- ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2.	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3.	მშენებლობის მწარმოებელი	მეოთხე	მშენებლის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის	60

			პროფესიული კვალიფიკაცია	

16. შპს - ახალციხის სამედიცინო სასწავლებელ 2009-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალციხის სამედიცინო სასწავლებელ 2009-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ახალციხის სამედიცინო სასწავლებელ 2009-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 224092620) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:30 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ლალი ღოღელიანი
მდივანი